ეროვნული ბიბლიოთეკა

**რედაქცია**
გოლოვინის პროსპექტზედ, თ. მუხრანსკის სახლებ-ში, კლუბის ქვემოთ

**ხელის-მოწერა**
მიიღება თბილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გვარამის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

**„დროების" ფასი:**
მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათის გარდა

**ფასი განცხადებისა**
დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ. [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივი ასოთი [illegible] ზე მეტი.
თუ ხანგრძლივ მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

პარასკევს, 19 მარტს
თბილისის კლუბში
გაიმართება
**შვიდისაღამო**
ნისლოვანი სურათებით, კითხვით, მუზიკით და ცეკვით.
ბილეთები ბავშვებისა 50 კაპ., ქალებისა 1 მან., ვაჟებისა 2 მ. იყიდება მავერდოვის პავილიონში და კლუბის შვეიცართან.

## ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 10 მარტს. ბისმარკი თავის მემკვიდრეს (დღიურს) სწერს.

„საზამთრო ლევადიის" თეატრის დაწვის დროს მხოლოდ ერთი სამოცდა-თორმეტის წლის მოხუცებული კაცი დაიწვა.

მანუფაქტურის დეპარტამენტის დირექტორის ერმაკის მაგიერად, ამბობენ, ტიმირიაზევი ინიშნება.

ზრდილოვეთის რკინის გზის საქმე ცალკე კამისიას მიენდო, რომელიც გზის სამინისტროსთან არის შედგენილი.

პეტერბურღის ბირჟა, 8 მარტს.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 96 | 25 |
| მეორესი — — — — | 91 | 12 |
| მესამესი — — — — | 91 | 25 |
| მეოთხესი — — — | 91 | 25 |
| მეხუთესი — — — | 90 | 25 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 90 | 12 |
| აღმოსავლეთის მეორე | 90 | „ |
| აღმოსავლეთის მესამე | 90 | 12 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 | 13 |
| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | | |
| პირველი სესხის — — | 217 | „ |
| მეორე სესხის — — | 211 | 50 |

100 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — | 24 | 12 | პენსი |
| ჰამბურღი — | 205 | 50 | ცენტი |
| პარიჟი — — | 254 | 50 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ | „ | პფენიგი |

## სწავლის კურსი სახალხო სკოლებში

ტფილისი, 11 მარტს.

მოვეხსენებათ, რომ ერთი უმძლავრესი ღონის-ძიება დაბალი ხალხის კეთილ-დღეობისათვის არის განათლების გავრცელება.

ამიტომ ყოველი კეთილის მყოფი ევროპაში იმასა ცდილობს, რომ ხალხის განათლება დამყარდეს მკვიდრსა და განიერს საფუძველზედ.

ამ საფუძვლის ქვა-კუთხედად მიაჩნიათ ხანგრძლივი კურსი სასოფლო სკოლისა, იმ სიგრძე კურსი, რომელიც ღონის-ძიებას აძლევს მოწაფეთა ისწავლონ არა-მარტო რიგიანი წერა-კითხვა, რაიცა თავის-თავათ დიდს სიკეთეს არ შეადგენს, არამედ ყოველი უსაჭიროესი საგნები და გამოიტანონ სკოლიდგან საღი და თავისუფალი შეხედულება ქვეყნიერებაზედ.

ფეოდალებს და კლერიკალებს ხალხის განათლება, რა საკვირველია, ჭირივით ეჯავრებათ, მაგრამ დახელოვნებულნი იეზუიტურს ქვეშ-ქვეშობაში, პირ-და-პირ არ უცხადებენ ომს ხალხის განათლებას, გვერდებიდგან უვლიან, უნდათ . . . . . . . საძირკველი შეუსუსტონ, ძალა მოაკლონ და მხოლოდ ფორმა, სახელი დაანარჩუნონ. ამ მიზნის მისაღწევად ისინი დაუზანებლივ ცდილობენ, რომ სახალხო სკოლის კურსი, რაც კი შეიძლება შეამოკლონ, რომ ხალხმა სკოლებიდგან, უბრალო წერა-კითხვის სწავლის მეტი, ვერა გამოიტანოს-რა, გრძნობდეს თავის-თავს უმეცრად, სუსტად . . . . . . . . ეს ეწადათ ყოველთვის პრუსიის ფეოდალებს, მაგალითად; ესევე სწადიანთ ავსტრიის კლერიკალებს, რომლებიც აგერ სამი-ოთხი წელიწადია გაჭირვეულნი იბრძვიან შეამოკლებინონ მართებლობას ხანგრძლივი კურსი სახალხო სკოლისა, რომელიც ლიბერალების და დემოკრატების მეოხებით დამყარდა ამ ათი წლის წინად ავსტრიაში.

ყველაზედ სასაცილო და სამტირალო ერთსა და იმავე დროსა ამ ბრძოლაში გახლავთ ის ოინი, რომელიც ფარად და ხმალად აქვთ დაჩემებული კლერიკალებსა და ფეოდალებსა.

იცით, რითი მართლულობენ თავსა და რა მოჰყავთ საფუძვლად თავის წადილისა? ხალხის სიყვარული! ჩვენ იმიტომ გვწადიან სახალხო სკოლის კურსის შემოკლება, რომ გლეხი გვებრალებაო, რადგანაც რამდენათაც ადრე დაანებებენ თავს მისი შვილები სკოლასა, იმდენად ადრე მიეშველებიან მამას მუშაობაშიო და სხვანი. რა საკვირველია კლერიკალებმა და ფეოდალებმა კარგად იციან, რომ ამ ლოლიკის ძალით ყველაზედ სასარგებლო და საფუძვლიანი ის იქნება, რომ გლეხებმა გვერდიდგან არ მოიშორონ შვილები, შვიდი-რვა წლიდგან თავისთან ამუშაონ, სკოლაში ერთი თვეც არ დააკარგვირონ და მთლად უმეცარნი დასტოვონ,—მაგრამ ჰგონიათ, რომ ამ ოინს ბევრი ვერავინ მიგვიხვდებაო და თავისას გაიძახიან.

რუსეთის კლერიკალებმა და ფეოდალებმა გამოიგონეს სამი წლის კურსი სახალხო სკოლებისათვის, მაშინ, როდესაც ევროპაში სწავლა სახალხო სკოლებში გრძელდება ექვსი წლიდგან რვა წლამდისა.

მხოლოდ-კი, ეს დაწყობილება ხმა-მაღლივ იკიცხება და ახალს ორგანიზაციას ყველა მხრიდგან თხოულობს

---

«დროების» ფელეტონი, 12 მარტი.

## თუშეთში მკვდრის გლოვის გამო.

თუშეთში წლის თავზე უკანასკნელად შეიკრიბებიან ხოლმე მკვდრის მოსაგონებლად და დასატირლად. ამავე დროს გამართავენ დოღს, რომელშიაც გამარჯვებულს მისცემენ განსვენებულის ცხენს. ღარიბებს დაურიგებენ მის ტანთსაცმელს.

უკანასკნელად, დატირების დროს ერთ-ერთი გამოდის მეიდანზე განსვენებულის ცხენით და მაღლა ხმით, გალობით დამღერს, სხვანი ბანს ეუბნებიან.

აი ამ სიმღერის შინაარსი:

**მომღერალი.** ვსოქვათ, მარდნო მხედარნო, სამწუხარო სიმღერა—„დალაი"—განსვენებულს გმირზედა!

**მობანენი.** დალაი, დალაი!

**მომღერალი.** ვინ არ შესწუხდება დამნახველი მის საომარ იარაღებისა და რაშის, რომელნიც დატოვა პატრონმა სამუდამოთ და მივიწყებას მისცა!

**მობანენი.** დალაი, დალაი!

**მომღერალი.** ვწუხვართ, როცა ვხედავთ მის ნათესავებს, მეგობრებს, შავში ჩაცმულებს!

**მობანენი.** დალაი, დალაი!

**მომღერალი.** უბედურ დედას, მომტირალს ერთად-ერთ შვილზე, უკანასკნელ თვის ნუგეშზე!

**მობანენი.** დალაი, დალაი!

**მომღერალი.** მის ნაზიერ დებს, მოწყლულებს უბედურებით, მზგავსად მინდვრის ყვავილია, შემოდგომის სიცივის მობერვით!

**მობანენი.** დალაი, დალაი!

**მომღერალი.** უნუგეშოთ დარჩომილ ცოლსა, რომელიც დნება მწარე ცრემლებისგან, მზგავსად თოვლისა მზის მწვავ სხივებისგან.

**მობანენი.** დალა, დალაი!

**მომღერალი.** დაკარგულო მეგობარო! ნუ თუ საომარი სამოსი სამკაული და მშვენიერი შენი ულვაშები აღარ დაამშვენებენ ჩვენს საზოგადოებას?

**მობანენი.** დალა, დალაი!

**მომღერალი.** არა! ჩვენ არ გამოვაცხადებთ შენს სიკვდილს და მით არ გავახარებთ ჩვენს მტრებს!

**მობანენი.** დალა, დალაი!

**მომღერალი.** თუ დაღისტანში ლეკები გვკითხავენ შენზედა, ჩვენ ვეტყვით: „ის ქისტეთშია დიჩინის მთაერთან".

**მობანენი.** დალა, დალაი!

**მომღერალი.** თუ ქისტები გვკითხავენ, ვეტყვით: „კახეთშია".

**მობანენი.** დალა, დალაი!

**მომღერალი.** თუ გვკითხავენ ჩვენი ქართველები, ვეტყვით: „ის იქ, უფალთანაო".

**მობანენი.** დალა, დალაი!

**მომღერალი.** ზაილეიძე, ყოჩაღო! ნუ თუ შენ არ გესმის საყვირის ხმები! ნუ თუ შენ უარ-ჰყოფ წინამძღოლობას ახალგაზდა თუშთ მხედრობისა, რომელნიც გთხოვენ ამას მტრებზე დასაცემად?

**მობანენი.** დალა, დალაი!

**მომღერალი.** ნუ თუ ღონე აღარ გიწვდება წინამძღოლობაზე! იქნება ვეღარ გემარჯვება ცხენზე ჯდომა და ქარქაშიდამ თავ-ზარ დამცემი ხმლის ამოძრობა?!

**მობანენი.** დალა, დალაი!

**მომღერალი.** მეხო და რისხვავ მოუსვენარ მტრებისა! განა შენ შენის შესანიშნავის სიათით (თოფი) არ დაამარცხე მრავალი დასარბევად მომავალი მტერი!

**მობანენი.** დალა, დალაი!

**მომღერალი.** წინა-პართა დიდებავ, ჩამომავალთა ვარსკვლავო! შენ იყავი კანონი და მფარველი თუშეთისა!

**მობანენი.** დალა, დალაი!

**მომღერალი.** ნეტარია შენი მომავალი, მტრედად ფერ-ცვლილი დაუმანკოებით აღვსილი.

**მობანენი.** დალა, დალაი!

**მომღერალი.** თვალი გადაავლე ნეტარად შენის ხსენებისათვის მორთმეულს: სამსე კოდებს, მდიდარს სუფრას, სტუმრებს ყოველ წოდებისას და ხარისხისას. შემოგვხედე ჩვენც, შენზედ მომთქმელთ ვერცხლის ჯამებითა! საუკუნოდ განისვენე!

**მობანენი.** საუკუნო განსვენება!

**ხალხი.** (ჩუმად) საუკუნო განსვენება!...

ამ ნაირი მოთქმა თავის მკვდრებზე იციან ყველა მთიულ ხალხებმა კავკასიისამ; ხოლო იმ განსხვავებით, რომ ზოგიერთ ხალხებში მამა-კაცის მაგიერ დედა-კაცი ამბობს მოთქმას და ბანსაც დედა-კაცები ეუბნებიან. ჩვენს მთიულებში შესანიშნავი მოთქმანი იციან ფშაველებმა, ხევსურებმა, ხეველებმა და სხვ.

ამ გვარი მოთქმანი სხვათაშორის, არიან საუკეთესო წყარო ხალხის ეთნოგრაფიის შესწავლისათვის. მოთქმაში გამოითქმება ხალხის შეხედულება ცხოვრებაზე, სიმართლეზე,

რუსის საზოგადოება. საზოგადოებას ბანს აძლევენ, ასე გაშინჯეთ, თვით ოფიციალური პირები, ჩინოვნიკები. სხვათა-შორის წარსულის თებრვლის პეტერბურღის სათემოში (ЗЕМСТВО) შეუტანია პეტერბურგის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპეკტორს პროექტი ამ სკოლების ორგინიზაციის შეცვლაზედ. ინსპეკტორის მოხსენებით სამი წლის კურსი იმდენად ნაკლები გამოსდგარა, რომ არამც თუ საგნებს ვერ ითვისებენ ბავშვებიო, თვით წერა-კითხვასაც იმდენად სუსტად სწავლობენ, რომ სკოლიდგან გამოსვლის შემდეგ სამი-ოთხი წლის განმავლობაში მთლად ივიწყებენო. სამი განყოფილებაც მავნებელი ამოჩენილა, რადგანაც მასწავლებელი მხოლოდ სწავლის მესამედს დროს ახმარებს თვითეულს განყოფილებასა და სწავლა ერთი სამათ და ოთხად ზანტად მიჰყავსო. ინსპეკტორი თხოულობს პეტერბურგის თემობისაგან, რომ მან განამწესოს ოთხი წლის კურსი იმ პირობით, რომ მოწაფეების მიღება ორ წელიწადში ერთხელ მოხდეს ხოლმე; ამ შემთხვევაში, სამი განყოფილების მაგიერ, ორი განყოფილება ეყოლება მასწავლებელსა და უფრო ჩქარა და წარმატებიანათ წაიყვანს საქმესაო. ინსპექტორს უკვე უცდია რავდენსამე მაზრაში თავის მოსაზრებული ორგანიზაცია და მეტად ნაყოფიერი აღმოჩენილა.

გეცნობა განა, მკითხველო, ეს სახალხო სკოლების — ორგანიზაცია, მოსაზრებული პეტერბურგის გუბერნიის ინსპეკტორისაგან? დიაღ, უნდა გეცნობოდეს. ეს ის ორგანიზაცია გახლავთ ცოტაოდენის ცვლილებით, რომელიც დაადგინა მასწავლებელთა კრებამ ტფილისში და ქუთაისში...

## დღიური

გუშინ, 11 მარტს, ნაშუადღევის მესამე საათზე ჩამოვიდა ქალაქში ახალი მთავარ-მმართებელი კავკასიისა თ. დონდუკოვ-კორსაკოვი.

ვერას გაღმა მიეგებნენ იმას ქალაქის წარმომადგენელნი. ქალაქის თავმა უთხრა სიტყა, რომელსაც ხვალ მოვიყვანთ. ხვალ დავბეჭდავთ აგრეთვე თ. დონდუკოვ-კორსაკოვის მშვენიერ სიტყვას, რომლითაც ქალაქის წარმომადგენლებს მიმართა.

მთელი ვერა და გოლოვინის პროსპექტი მოფენილი იყო ხალხით. გზაზე გაუწყნარებელი „ურა!“ სასახლის წინ ჯარები და სხვა-და-სხვა სასწავლებელთ შაგირდები თავიანთ მასწავლებლებით.

მთავარ-მმართებელი თავის მეუღლით პირ-და-პირ სიონში წავიდა. იქიდამ დაბრუნების შემდეგ ცოტა ხანს სასახლეში შებრძანდა და შემდეგ თ. ლევან ი. მელიქოვსა და თ. გრიგორ დ. ორბელიანს გაუკეთა პირველი ვიზიტი.

*
* *

გუშინ დილიდამ უჩვეულებრივო მოძრაობა და ფაცი-ფუცი იყო ჩვენს ქალაქში. ახალ მთავარ-მმართებელს მოელოდნენ. ვერიდამ დაწყებული სიონამდინ, სადაც თ. დონდუკოვ-კორსაკოვი ქალაქში შემოსვლისა-თანავე პირველად მივა ლოცვის მოსასმენელად, ქუჩები გაწმენდილ-განსპეტაკული იყო, ყველა სახლებზე და მალაზიებზე ფერად-ფერადი ბაირაღები და დროშები იყო ამართული. ფაიტონების რახა-რუხი, ხალხის გაჩქარებით მოძრაობა. საღამოსთვის ქალაქის გასაჩაღებლად მზადება.

ტფილისის ღუბერნატორი თ. გაგარინი და თავად-აზნაურთა წინამძღოლი გუბერნიის საზღვარზე მისაგებლად წავიდნენ. ტფ. მაზრის წინამძღოლი მცხეთაში დაუხვდება.

ერთის სიტყვით, ქალაქი დიდის ამბით ემზადება ახალ მთავარ-მმართებლის მისაგებებლად.

*
* *

კავკაზიის სასამართლოების რევიზია, როგორც იწერებიან, სენატორს დეიერს აქვს მინდობილი.

კი ეჭირება ჩვენს სასამართლოებს რევიზია...

*
* *

ჩვენ გვთხოვეს გამოვაცხადოთ, რომ იმ კონცერტიდამ, რომელიც გავლილ ორშაბათს, 8 მარტს, იყო საზაფხულო თეატრში ზოგიერთ ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ, ხარჯს გარდა დარჩენილა სულ 166 მან. და 20 კაპ.

*
* *

მოგვყავს შემოსავალ-გასავლის ანგარიში „ვეფხის ტყაოსნის“ ცოცხალ სურათებისა, რომელიც ორჯერ იყო გამართული 6-ს და 21 თებერვალს.

პირველ საღამოს შემოსულა სულ—1,585 მან. მეორეჯერ (21 თებ.)—1.294 მან. 70 კაპ., სულ ორივეჯერ—2,894 მან. 70 კაპ.

დახარჯულა პირველად—1,841 მ. 65 კაპ., მეორეჯერ—543 მან. 28 კაპ., სულ—2,384 მან. 93 კაპ.

ამას გარდა სხვა-და-სხვა პირებს შემოუწირავთ 69 მან., ასე რომ ხარჯს გარდა წმინდა შემოსავალი დარჩენილა—563 მან. [illegible] კაპ., რომელიც მიუღია კნეინა ე. ა. ზაგარინისას.

*
* *

გუშინ, 11 მარტს, საღამოს, ქალაქის რჩევის ზალაში უნდა ყოფილიყო პირველი ქართული ლექცია ექიმის ბაბაშვილისა, მაგრამ, ახალ მთავარ-მმართებლის ქალაქში მოსვლის გამო, ეს ლექცია სხვა დროისათვის გადაიდვა; ლექციის დღე გაზეთებში იქნება გამოცხადებული.

*
* *

გაზეთს „კავკაზში“ იწერებიან ქახეთიდამ, რომ ამათვის 7-ს სოფ. კარდანახში გაჩენილა ცეცხლი, რომელსაც რამდენიმე საათის განმავლობაში ორმოც-და-შვიდი სახლი გადაუწვავს. ოთხასამდინ სული უსახლკაროდ და ულუკმა-პუროდ დარჩენილი, სიღნაღის მაზრის უფროსის თანაშემწის თ. ლ. ჯანდიერის. მეოხებით, მეზობლებს შეუფარებიათ დროებით საჭმელ-სასმელიც გაუჩენიათ იმათთვის.

ამავე დღეს სიღნაღისვე მაზრის მეორე სოფელში ზემო-მაჩხანში გაჩენილა ცეცხლი და ოც-და-[…] სახლი გადამწვარა.

*
* *

ამ თვის 18-ს ტფ. სამხედრო ოლქის სასამართლო განიხილავს [...] დამდგარ მაიორის თ. პლატონ [...]რეთლის საქმეს, რომელსაც ბრალდება, რომ 1879 წ. 22 მაისს ეჭვი[...]ლო თავის ცოლის ერთგულებაზე განჩხლებულმა იძრო ხმალი [...] ორი ალაგას დასჭრაო, შუბლში [...] ხელზე.

---

ურთი-ერთ შორის დამოკიდებულებაზე, ცრუ მორწმუნეობაზე, მეზობელ ხალხების მდგომარეობაზე და ზედ-გავლენაზე, მორალურ, გონებით და გინა ფიზიკურ ზრდაზედ.

ამიტომ ძალიან სასიამოვნო იქნება, რომ ნასწავლ მთიულ შვილთა, გააცნონ საზოგადოებას თავ-თავის მთიულ ხალხების მოთქმანი და ამ გვარები.

რაიცა შეეხება ამ თუშურ მოთქმაზე მე იგი რუსულიდგან გადმოვიღე ქართულად და რამდენად დაცულია მასში (რუსულში და ჩემს გადმოღებულში) სინამდვილე, ჭეშმარიტება, არ ვიცი, რადგან მე არას დროს თუშეთში არა ვყოფილვარ და არც გამიგონია პირადად.

მ. ჯანაშვილი.

## ახალი ტიპები სახალხო სკოლებისა*

თუმცა ჩვენში თან-და-თან მრავლდება სახალხო სასწავლებლების რიცხვი, მაგრამ ჯერ კიდევ შორს არის და გვიან მოვა ისეთი დრო, როდესაც ყველა სწავლის მსურველი სოფლელებს შეეძლება სიარული სკოლაში და იქ სწავლას; ჯერ კიდევ დიდ ხანი გაივლის, რომ ბევრი ვერ ეღირსება უბრალო წერა-კითხვის სწავლასაც, არა თუ განათლების რომელიმე ხარისხამდე მიხწევას!

ამის ერთ უმთავრეს მიზეზათ, უეჭველია, ჩაითვლება სიძვირე და სიცოტავე ეხლანდელი სამ წლიური სახალხო სკოლებისა, რომლის გახსნა და შენახვა შეუძლიანთ მხოლოდ უფრო დიდ და შეძლებულ საზოგადოებებს; მცირე და ღარიბი სოფლის მცხოვრებნი კი ან სრულიად უსწავლელნი რჩებიან, ან უბრალო წერა-კითხვის მცოდნე პრიჩეტნიკების, დიაკვნებისა და მეოხებისა ქვეშე იმყოფებიან. ამ უკანასკნელ საშუალებასაც, საუბედუროდ თითქმის მოკლებულნი არიან ისინი, რადგანაც ამ გვარ მასწავლებლებს ზოგან სდევნის და კვალში უდგია ადმინისტრაცია. რუსეთის ერთ გუბერნიაში, მაგალითად, წარსული წლის დამლევს ერთი გლეხი-კაცი განსაჯეს ოლქის სასამართლოში და გადაუწყვიტეს ფულად ჯარიმის გადახდა, მხოლოდ მისთვის, რომ ის სოფლის ბავშვებს უმოწმობოთ ასწავლიდა წერა-კითხვას. მაგრამ, სანუგეშოთ, ეხლა, როგორც ისმის, ამ საქმისთვის მიუქცევია ყურადღება სახალხო განათლების სამინისტროს და განზრახვაა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დათანხმებით, რომ ამ გვარ მასწავლებლებს, რომელნიც ასწავლიან არა სკოლებში, არამედ კერძოთ, სახლებში,—არ მოეთხოვოსთ განსაკუთრებული მოწმობა.

რასაკვირველია, უმეტესი ნაწილი ამ გვარ მასწავლებლებისა არ არიან „კურსოვნიკები“, მიუღიათ ძალიან ცოტა სწავლა, გაუხსნელები არიან, ასწავლიან ძველებურათ, მამა-პაპურათ; სამ-ოთხს თვეს ძლივს იმდენს ასწროებენ, რამდენსაც კარგი დახელოვნებული ოსტატი ერთ თვეს; ხანდისხან გადაკვრაც უყვარსთ და ბავშვების გაწკეპაცა! ყველა ეს ჩვენც კარგათ ვიცით და მძიმე ნაკლულევანებათ მიგვაჩნია. მაგრამ მაინც დიდათ სანატრელია, რომ იმათ, ამ კერძო ოსტატებს, მიენიჭოსთ სწავლების უფლება. სწავლა ისეთი საჭიროებაა ჩვენი ხალხისათვის, რომ იმის მისაღებად ხალხს უნდა გზა ხსნილი ჰქონდეს!.. ასწავლო . . . . . . . . . . . . .
ყველამ ვინც „წიგნი“ იცის: სულ ერთია, რა გვარათაც უნდა იყვეს ეს სწავლება, გვიან თუ მალე, ოღონდ კი ასწავლოს, ოღონდ კი მიაღწევინოს ნაბეჭდის წაკითხვამდი, მიიყვანოს სიბრძნის პირველ საფეხურამდი.

რა თქმა უნდა, პედაგოგიურად მომზადებული მასწავლებელი ამ მიზნამდი უფრო ჩქარა, ადვილათაც და გონივრულათაც მიახწევინებს; მაგრამ ამის გამო არ შეიძლება, რომ მცირე ნასწავლს აეკრძალოს სწავლება [...] საზოგადოებაში, რომელსაც ღონისძიება არა აქვს იყოლიოს მომზადებული ოსტატი. მიეცით ყველა გლეხებს ღონისძიება, რომ შეეძლოთ კარგი ოსტატების ყოლა და მაშინ თავის-თავად მოისპობა ხალხში [...] გვარი მოუმზადებელი მასწავლებლები. მაგრამ სანამ იმათში ხალხი ჰგრძნობს საჭიროებას და სწავლისადმი ლტოლვილებას, იმათ (კერძო მასწავლებლებს) არ კი უნდა აღუკრძალო[...] მადლობაც უნდა უძღვნან, რომ [...]რიბ გლეხებს აძლევენ ღონისძიებას მცირე სასყიდლით ასწავლონ თავის შვილებსა. უიმათოთ, რამდენი ბავშვი დარჩებოდა სრულიად უსწავლელი!

ამ გვარი მოუმზადებელი მასწავლებლების მოქმედება და უსწავლელ გლეხების რიცხვის შემცირება შე[...]ლება ღარიბ სოფლებისთვის სასწავლებლების გაიაფებით, გაადვილებით და, ეს შესაძლებელია ეხლანდელ სკოლების ტიპის შეცვლით. ამ გვარ სკოლები არიან „მოძრავი“, ან „[...]რე ვადიანი“ სკოლები. განსხვავება ამ და ეხლანდელ სკოლები შუა მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ „მო[...]რავ“ სკოლებს ხსნიან მცირე ვადით ორ-სამ თვით და დანიშნული [...]

---

*) ამ სათაურით არის დაბეჭდილი რუსულ ჟურნალს „სახალხო სკოლაში“ სტატია, რომლიდგანაც ჩვენ ვიღებთ რამდენიმე ჩვენთვის უფრო საინტერესო ადგილს.

ავტ.

სასამართლოში, ამ საქმის გამო, თოთხმეტი მოწამეა დაბარებული. იქმნებიან აგრეთვე მოწვეულნი ექსპერტები—ექიმები.

ბრალდებულს დაიცავს ნაფიცი ვექილი გ. შევაიე.

* * *

გამოვიდა ამ წლის თებერვლის წიგნი ჟურნალის „იმედისა“, რომელიც შემდეგ შინაარს შეიცავს:

„მე და ონისიმე—მოთხრ. მინ. ასათიანისა.—წკიმბარცი—ლექსი გემისა,—ხალხური ლექსი,—ხალხური სიმღერა, — გზავრის შენიშნვები—ალილო თუთაევისა,—საქართველოს მოკლე მატიანე (გაგრძ.)—მოსე ჯანაშვილისა,—კორრესპონდენცია სენაკიდამ—სენაკელისა და განცხადებანი.

## უმაღლესი ბრძანება
## კავკასიის ადგილობრივ სამმართველოთა განწყობილობაზედ.

მინისტრების კომიტეტმა მოისმინა უმაღლესის ბრძანებით შედგენილი მოსაზრებანი მინისტრებისა და ცალკე უწყებათ გამგებლებისა კავკასიის ადგილობრივ სამმართველოთა განწყობილობაზედ, დაადგინა:

1). მიართვან ხელმწიფე იმპერატორს ხელმოსაწერად ბრძანება, რომლის ძალითაც უნდა გაუქმდეს კავკასიის კომიტეტი და იმის კანცელარია კი დროებით დაემორჩილოს მინისტრების კამიტეტის საქმეთა გამგებელს.

2). სამოქალაქო გამგეობა კავკასიისა დროებით დარჩეს იმავ მდგომარეობაში და იმავ უფლებითა და ვალდებულებით, როგორც კანონთა კრების მე-II ტ. გამოც. 1876 წ. არის მოხსენებული, სანამ 1883 წლის 1 იანვრისათვის ახალი წესდება არ შესდგება კავკასიის გამგეობისა.

3). კავკასიის სამოქალაქო უწყების მთავარ-გამგებელს მიენდოს შეადგინოს თფილისში კამისია, რომლის თავს-მჯდომარედაც იქნება იმისგან ამორჩეული პირი და წევრებად ცალკე უწყებათა უფროსნი და საკუთრივ ამისთვის გაგზავნილნი პირნი სამინისტროებიდამ. ამ კამისიას მიენდობა გადახედვა ყველა იმ წესდებულებისა და კანონმდებულობისა, რომელიც კავკასიას შეეხება და შედგენა კავკასიისათვის ახალ გამგეობის წესდებისა. ეს კამისია იხელმძღვანელებს იმ პროექტებითა და მოსაზრებით, რომელნიც სამინისტროებისგან არიან წარდგენილნი, მხოლოდ შეუძლიან შესცვალოს, რაც ამ პროექტებში გამოუდეგარი აღმოჩნდება.

4). როდესაც კამისია ცვლილების წესდებას შეადგენს, მთავარ-მმართებელს უფლება აქვს სახელმწიფო რჩევაში წარადგინოს ის, თავის აზრით, 1882 წლის 2 ენკენისთვიდან.

5). კავკასიის მთავარ-მმართებელს უფლება აქვს იქონიოს მიწერ-მოწერა პირ-და-პირ მინისტრებთან და ცალკე უწყებათა მთავარ-გამგებლებთან იმ წესითა და რიგით, როგორც ღენერალ-ღუბერნატორებსა აქვთ; მე-V და მე-VI კლასის ჩინოვნიკების დანიშვნისა და დათხოვნის თაობაზედ კავკ. მთავარ-მმართებელი უნდა დაეკითხოს იმ სამინისტროს, რომლის უწყებაშიაც ის ჩინოვნიკი მსახურებს.

6). შინაგან საქმეთა მინისტრს, ფინანსისას, სახელმწიფო ქონებისას, სახალხო განათლებისას, იუსტიციისას და გზისას შეუძლიანთ ვაგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი იმ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც შესდგება თფილისში.

7). მინისტრების კამიტეტის გამგებელი გაანაწილებს იმ საქმეებს, რომელნიც კავკაზიის კამიტეტის ხელში იყო და აგრეთვე იზრუნავს ამ კამიტეტის არხივის დაცვაზედ.

ამ კამიტეტის ჟურნალზე ხელმწიფე იმპერატორმა მოაწერა: **შესრულებულ იქმნეს.** ამასთანავე ხელმწიფე იმპერატორმა ინება შემდეგი ბრძანების გამოცემა:

**I.** განსხვავებანი უფლებანი კავკასიის მთავარ-მმართებლობა მინიჭებულ ექმნეს ახლანდელ მთავარ-მმართებლის ერთს წლის განმავალობაში; იმას აქვს უფლება:

ა) გამოაცხადოს კავკაზში ყოველი ბრძანება და განკარგულება იმპერატორისა:

ბ) გააუქმოს გუბერნიის სამმართველო ადგილების გარდაწყვეტილება; მხოლოდ იმ პირობით, რომ კერძო პირებს უფლება ექნებათ იმის განკარგულებაზედ იჩივლონ სენატში.

გ) დაუნიშნოს პენსია და შემწეობა, ვისაც კანონით ერგება.

**II.** მთავარ-მმართებელს უფლება აქვს ზოგიერთს შემთხვევაში, როდესაც რაიმე მძიმე, საქმეა, პირ-და-პირ ხელმწიფე იმპერატორს წარუდგინოს რომელიმე თვის წესდება ანუ განკარგულება.

**III.** უფლება აქვს—წარმოსთქვას თავის მოსაზრება იმაზედ—თუ როდის შეიძლება მთიულ ხალხში ახალ სასამართლოების შემოღება.

**VI.** უფლება აქვს:

ა) აუკრძალოს დამნაშავეს კავკასიის აქეთა და იქითა მხარში ცხოვრება.

ბ) მინისტრს გამოეცხადოს, ოთხის თვის განმავალობაში, რომ რომელიმე ახალი წესდება არ გამოდგება კავკასიაშიო.

გ) გამოუცხადოს მინისტრს, რომ იმის განკარგულების შესრულებას დაბრკოლება ეძლევა; ამით განკარგულების შესრულება მაინც არ იქნება შეჩერებული და.

**V.** უფლება არა აქვს.

ა) უმაღლეს კანონმდებელ და აღმასრულებელ უფლებასთან იქონიოს ყველა თავის გამგეობის შესახებ:

ბ)-ნება-დაურთველად იხელმძღვანელოს ყველა იმ დაწესებულებით, რომელიც სხვა-და-სხვა სამინისტროებისაგან არის გამოცემული;

გ) თავის ნებითა და ამორჩევით დანიშნოს სასამართლო უწყებაში მოსამსახურე პირნი;

დ) არა აქვს უფლება თავის ნებით უმიწა-წყლო თავად-აზნაურებს და სხვა რომელიმე მაღალ წოდების პირთ დაურიგოს საჩუქრად ანუ არენდით თავისუფალი სახელმწიფო მიწები და აგრეთვე დაურიგოს ანუ სამი ათას

---

სის გაელის შემდეგ მასწავლებელი გადადის სხვა სოფელში ამავე ვადით; შემდეგ მესამე სოფელში და სხვ. ამ გვარი სკოლები არსებობენ შვეიციაში, ნორვეგიაში და ფინლანდიაში, სადაც იმათ დიდი სარგებლობა მოაქვსთ.

ამ „მოკლე ვადიანი“ სკოლების სასწავლო კურსის პროგრამმაც, რასაკვირველია, უნდა ნაკლები იყვეს პირველ დასაწყის სოფლის სასწავლებლის პროგრამმაზედ. მივიღებთ რა მხედველობაში, რომ „მოკლე ვადიან“ სკოლებში იქნება მუდამ მარტო ერთი და არა სამი განყოფილება და, მაშასადამე, მასწავლებელს მთელ სასწავლო დროს განმავლობაში შეეძლება მარტო ამ ერთ განყოფილებასთან მეცადინეობა,—2½, ან 3 თვეს შეიძლება, დაახლოებით, გაიაროს, მოასწროს იმდენი, რამდენსაც ასწრობენ სამ წლიურ სკოლებში პირველ წელიწადს. თუ მივიღებთ კიდევ მხედველობაში, რომ მთელი წლის განმავლობაში „მოძრავ“ სკოლას ამ მიზნამდი მიხწევა შეეძლება ორ-სამ სხვა-და-სხვა სოფლებში, ადვილათ წარმოვიდგენთ, რა დიდი დამსახურება იქნება.

ამისთანა „მოკლე ვადიან“ სკოლების დაარსება რუსეთში (მით უფრო ჩვენში, საქართველოში), სადაც სოფლები ასე გაფანტულნი და ღარიბნი არიან,—ძლ სიკეთედ ჩაითვლება. ამაზედ რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიებში არა ერთხელ უფიქრნიათ და ნება-რთვაზედ უშუამდგომლიათ, მაგრამ სახალხო განათლების სამინისტრო არ იწყნარებდა ამ თხოვნსა, უფრო იმიტომ, რომ ვითომ ძნელი იქნება ამ გვარი სკოლების ყურის გდება. მაგრამ ეხლა, როგორცა სჩანს, ხსენებულმა სამინისტრომ თითქო შესცვალა თავისი შეხედულობა ამ საგანზედ, თითქო ეხლა სხვა ნაირის თვალით უყურებს იმას და სასარგებლოთ მიაჩნია ამ გვარი სკოლების გამრავლება სოფლებში. ამას გვიმტკიცებს შემდეგი სამი გარემოება: 1) ეს ერთი წელიწადია, რაც რუსეთში ზოგიერთ მაზრებში უკვე არსებობენ ამისთანა სკოლები; 2) სამინისტროს ნებართვით ამ საგანზედ მასწავლებელთ ორს კრებაზედ ჰქონიათ ამას წინათ სჯა და 3) სამინისტრომვე ნება დართო და მოიწონა ბ. ბუნაკოვის სამი წიგნი, სახელმძღვანელოები მოძრავ სკოლებისთვის. ბ. ბუნაკოვი თავის სახელმძღვანელოში, **„რუსული მოძრავი სკოლა“**, სხვათა შორის, ამბობს, რომ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, დაუყოვნებლივ და ყველგან მოძრავი სკოლების გახსნა ბავშვებისთვის და საკვირაო სკოლებისა დიდებისთვისო.

მოძრავი სკოლა კარგი მასწავლებლის ხელში უეჭველად აღძრავს სრულს თანაგრძნობას ჩვენს გლეხკაცობაში და წინ წასწევს სწავლა-განათლების გავრცელების საქმეს. მოძრავი სკოლების წყალობით გამრავლდება სამუდამო სკოლების რიცხვიცა. მოძრავი სკოლის კურსი, ბ. ბუნაკოვის ანგარიშით, უნდა იყვეს 12 კვირა; 10 სასწავლო და 2 გასამეორებელი. უქმეებისა და საზაფხულო კანიკულების გამორიცხვით, იმისი ანგარიშით, სწავლის წელიწადი იქნება 36 კვირა, ე. ი. 216 დღე. ეს დრო იყოფა სამ ნაწილათ, თორმეტ-თორმეტი კვირა თითო მხრისთვის, თითო სოფლისთვის. ამის წიგნში მოყვანილის გაკვეთილების დაწყობილებიდამ გამოდის: სალმრთო წერილისთვის 40, ხმების ვარჯიშობისთვის 8, კითხვისა და საუბრისთვის 96, წერისთვის 72 და არითმეტიკისთვის 72 გაკვეთილი.

მეორე ტიპს სახალხო სკოლებისას წარმოგვიდგენს **საკვირაო სკოლები.** ვინ არ იცის, რომ უმეტესი ნაწილი სახალხო სასწავლებლებში სწავლამიღებულებისა ივიწყებს რაც მთელი კურსის განმავლობაში სწავლა შეუძენია, და ივიწყებს იმიტომ, რადგანაც სოფლებში არ მოიპოვებიან სასოფლო ბიბლიოთეკები, ან სხვა ისეთი რამ დაწესებულება, სადაც სოფლის მცხოვრებლებს შეეძლოსთ გონებაში დანერგვა სასწავლებელში მიღებულის სწავლისა. ამ მიზნამდი მისახწევნელად, ბარონ კორფის რჩევით, ძალიან საჭირო და სასარგებლოა საკვირაო—გასამეორებელი სკოლები. თავის წიგნში **„ხელთმძღვანელი საკვირაო—გასამეორებელი სკოლებისა“** ბარონ კორფს მოჰყავს სრული პროგრამმა ყველა საგნებისა თითოეულ სწავლის დღისათვის. მთელ სწავლის კურსათ ავტორს გამოანგარიშებული აქვს 20 კვირა დღე, თითო დღეს 6 ნახევარ-ნახევარ საათიანი გაკვეთილები და ამ გვარ სკოლებში სწავლის ყველა მსურველნი გაყოფილი სამ გუნდათ; ან განყოფილებათ. პროგრამმის მიხედულობით, ყოველ კვირა დღეს უფროს განყოფილებას ეძლევა მეორე კვირისთვის ხუთი საგნიდამ საწერი რომელიც იმან უნდა შეასრულოს მთელი კვირის განმავლობაში.

თეოდ. კანდელაკი.

სოფ. მეჯვრისხევი.

დესიატინა მდინ, დესიატინა თუმნად, გაჰყიდოს თავისუფალი მიწები შავი-ზღვის ნაპირად.

## თფილისის საავადმყოფო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს- ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. სისუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

სურამის და ხაშურის სტანციებში ისყიდება დიდ-ძალი დამწვარი კირი. ფასის შეტყობა შეიძლება სურამში ალექსანდრე აბაზაძისგან. (15—1)

დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზია-ში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

# ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფილჯანი და გასალები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 პენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. **ინგლისის მაღაზიაში.** (40—34)

## იურიდიული კაბინეტი

### იურიდიული ბიბლიოტეკით

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზედ არხიტექტორის ბელოევის სახლში კელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

ამ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—4)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პარ-უსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—73)

ნაფიცი ვექილი

ალექსანდრე მირიანის-ძე

# ჭყონია

მიიღებს ყველა სასამართლოებში საწარმოებლად სამოქალაქო, სამიჯნაო და სისხლის სამართლის საქმეებს.

სადგომი აქვს: ქუთაისში, სილაზე, მ. ჭყონიას სახლში. (5—5)

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

**იგავ-არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

## საამო განცხადება.

ვისაც სურს ნამდვილი კახური ბუნებითი, არომატიული ღვინოებით დაატკბოს თავისი გემოვნება, ინებოს და მიირთვას ღვინოები „ალაზნის“ სარდაფისა, სოლოლაკის ქუჩაზედ, დეკანოზის ორბელის სახლებში № 14, თავ. ირაკლი ბრუზინსკის სახლის პირ-და-პირ. (6—6)

## დასყიდვა აღდგომამდის

### ინგლისურ მაღაზიაში.

ქუდები 1 მან., ტუფლები 2 მ. 50-დამ, შარვლები 4 მან. პიჯაკები 8 მან., მთელი კოსტიუმი 13—19 მან-მდი; დრაპი, მაუდი, ტრიკო, ჩოთქები და ალბომები ნახევარ ფასად; ხიზალალა 1 ხარისხისა — 70 კ. და ყიდვა—1მ. 20 კ. გირვ. ტანისამოსის ჩოთქები 30 კაპ. კრესლოები—ტახტები 10, 14 და 18 მან.—კოლმანის კრახმალი 17 კაპ. გირვ., ლეპიოშკები 2 კ., თეთრეულის გამოსარეცხი პარაშოკი — 5 კაპ. პაკეთი. ამ დღეებში მივიღებთ ყველს—ჩესტრ 60 კ. გირვანქა. **ახალ - ახალი** - წმინდა და ვერცხლის სანთლები—35 და 42 კ. ინგლის. გირვ., ინგლის. და ფრანცუზ. რკინის ტახტები 10% იაფად ვინემ სხვაგან, ე. ი. საბავშვო 4 მან. და სადიდო 14 მანეთიდამ. (15—7)

**ლონდონის მაღაზია** კომერციულ-ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას სიგარები. (100—88)

# სალიანი

საკუთრად თევზეულის მაღაზიაში, თამამშოვის ქარვასლის ქვეშ, ახლად მივიღეთ სალიანიდამ ნამდვილი სალიანის შამაიები და ისყიდება ნაკლებ ფასად, როგორც პარტიობით ისე წვრილადაც. (5—5)

# ევგენი ბერნექს

ვორონცოვის წყლის ნაპირა ქუჩა, № 46, საკუთარი სახლი ქ. ტფილისში.

**სადურგლო და სამალიარო ქარხიდა.**

პალერებისა და მარმარილოს და თუჯის ავეჯეულებათა. (5—5)

ეროვნული ბიბლიოთეკა

25% ნაკლებ - ფასად სხვა აღ[...] ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მ[...]რაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნე[...] ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდო[...]ბი, ფილჯნები, პირის-საბანი, კლიტ[...]ები, სამურველი, ტანისამოსის საკიდ[...] კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდ[...] კანვერტები, რვეულები, კარანდაშე[...] თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლას[...]ჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლე[...]ონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოებ[...] ტახტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოც[...] ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხებ[...] შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვ[...]ნო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და [...]ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მა[...]ღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნა[...]დათ: ფუთობით 40, 46, 52 და 5[...] მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 1[...] კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 6[...] კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხის, 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრი[...]კიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალ[...] უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის და[...]ნები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილ[...]ტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფე[...]ბისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—97)

ზრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (მ[...]ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნე[...]სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებ[...] გამოცემა:

**წითელი ფარანი**, ფასი 15 კ.

**ხატაური** — — — 10 კ.

## ტაქსია

აკვებაკ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქ[...]ნებში და დატარებით 1 მარტიდამ 1 აპრილამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 5½ |
| მეორის | „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის | „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველ ხარის. ლავაში | | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის | „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის | „ „ | —1 გირ. | 4½ |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი | — — | —1 გირ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | | — 1 გირ. | 13 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველი ხარისხის | | —1 გირ. | — კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | — კ. |

*Дозволено цензурою. Тифлисъ*, 11 *Марта 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხ[...]